ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7254838

ნომერი: AR11061114

თარიღი : 08.10.2024

გაცემის თარიღი : 18.10.2024

გაცნობის თარიღი : 18.10.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ ასათიანის ქუჩა, N 10, კორპუსი 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 08 ოქტომბერს №AR11061114 განცხადებით მომართა ვლადიმერ აბრამიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 25

იანვრის №6856762 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.15.014.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 25 იანვრიდან 2027 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ შეთანხმებულ გენ-გეგმაზე მდებარეობს ორი სავენტილაციო ჯიხური და ტექიკური ნაგებობა რომლებზეც კვადრატულობები არ იყო მითითებული და ახლა მიუთითა. ამასთან, განმარტავს, რომ აღნიშნული ფართობები შეყვანილია დამხმარე ფართობში და იგი არ იწვევს სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებაში მითითებული დამხმარე ფართობის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებით შეთანხმებულ გენ-გეგმაზე მდებარეობს ორი სავენტილაციო ჯიხური და ტექნიკური ნაგებობა, რომლებზეც ფართობები (ორი სავენტილაციო ჯიხურის 20 კვ.მ და ტექნიკური ნაგებობის 68.3 კვ.მ) არ იყო მითითებული და ახლა დაფიქსირდა. ასევე, დგინდება, რომ აღნიშული ფართობები შეყვანილია დამხმარე ფართობის ჯამურ მაჩვენებელში და ამასთან, არ იცვლება სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებაში დაფიქსირებული დამხმარე ფართობის ჯამი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა, ასევე, ტექნიკური ნაგებობის და ვენტ-ჯიხურის ნახაზები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე გენ-გეგმით, ტექნიკური ნაგებობის და ვენტ-ჯიხურის ნახაზებით.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 იანვრის №6856762 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.